საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 130-ე მუხლის და 132-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დამტკიცდეს „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო კონცეფცია“.

2. დაევალოს ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს 2021 წლის 1 იანვრამდე:

ა) საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციები გამართოს კონცეფციით გათვალისწინებული ფუნქციების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ცვლილებების განხორციელებამდე საბჭოს დებულებაში;

ბ) საქართველოს მთავრობასთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციით განსაზღვროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტები.

3. დაევალოს საქართველოს მთავრობას, „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ პრინციპების გათვალისწინებით და ღია მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს მიერ განსაზღვრული საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტების საფუძველზე 2021 წლის 1 აპრილამდე შეიმუშავოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სამოქმედო გეგმა.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის **არჩილ თალაკვაძე**

თავმჯდომარე